ჩვენ, ამგვარ "შებლდულ" აზრს, გამოეთქვამთ იმიგომ, რომ – ჰიგლერის მიერ რასიზმის დიათ აღიარების პირისპირ – რუსეთი "საიდუმლოდ" აწარმოებდა რასისტულ პოლიტიკას ქართველი ერის წინააღმდეგად, რის დოკუმენტი, მრავალთა შორის, გაბეჭდა "საქართველოს რესპუბლიკაში" 1999 წლის 30 ოქტომბერს გამოაქვეყნა. ამ დოკუმენტში მიხედვით სულთა (1902-1982), სსრკ-ის კომპარტიის ოფიციალური დიპლომატი, სინამდვილეში კი დიდმპყრობელ-მოზინისტი, თავის "დახურულ მოხსენებაში", ამბობს:

XXII.

"კომუნისტური პარტია რუსეთის წებოა და სანამ ეს წებო თავის ძალას, თავის თვისებას არ დაკარგავს, მანამდე უნდა ავამუშაოთ რუსეთის გადარჩენის გეგმა, რომელიც სხვადასხვა რესპუბლიკებში სხვადასხვა იქნება.

მორეალად ამოსაყვებითი მცხოვრებ გენერლებს უნდა მიეცეს ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩამოსასახლებლად გეგმავდა შავი ზღვის სანაპირო გერციგორია, სადაც როგორც მოგეხსენებათ ქართველები ცხოვრობენ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან მლიერ განსხვავდებიან, ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დაიწყეთ აუხამეთიდან. აუხამეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარასა და სხვა ერთებებს უნდა მიეცეთ დამოუკიდებლობა. მათში ცალ-ცალკე უნდა გაავლივით კუთხურ ეროვნული კონცხობა. დასავლეთი საქართველო უნდა დაუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის ფუნქცია უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დაეარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულნი, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც მათი საქართველოს გერციგორიიდან საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს".

XXIII.

როგორც ვხედავთ, აქ საქმე გვაქვს დიდმპყრობელურ-შინისტიკურ რუსულ რასიზმთან, რომელსაც პოლტოლმევიკური რუსეთი ხან შენიღებლად, ხან კი დიათ აწარმოებდა და აწარმოებს საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ, რომლის მყვირალა ფაქტის სოხუმისა და ცინივალის დაპყრობა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ 1993 წელს, რასაც მოჰყვა 300-ათხმე მტეი ქართველთა გამოძევება ამ ქართულ ძირძველ მიწებიდან, რაც გრძელდება დღემდე.

XXIV.

აი, ასეთ პირობებშია საქართველო დღეს, 2005 წლის 8(9) მაისს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლისთავზე, რაც ისევე ჩვენს წინაშე, მთელი სიგრძე-სიგანით, აყენებს აღნიშნულ კითხვას: რ ი ს თ ე ი ს ვ ი ბ რ ძ ი დ ი თ?..

ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე იყო, არის და დარჩება "ერთსახოვანი": ჩვენ ყველა ყოველთვის, ყოველ პირობებში ვიბრძებით, ვიბრძობით და ვიბრძობით მომავალშიაც – საქართველოს, ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის თავისუფლებისათვის!..

მაგრამ ჩვენს პასუხს, ამავე კითხვაზე, აქვს ორი მხარე, იმის შესაბამისად – არის საქართველო დამოუკიდებელი თუ დაპყრობილი სახელმწიფო, ე.ი. გვაქვს "ზედნიერება" ეთნოქმედით როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებმა, თუ ვართ "უბედურნი", ე.ი. უნდა ეთნოქმედით დამპყრობელის სურვილის შესაბამისად; და ასეთ პირობებში, ჩვენი მოლაშქრეობა თვით მონღოლების ჯარშიც კი, განხილული არ უნდა იქნას როგორც საქართველოზე, ქართველ ერზე შეწყვილი "ხარკი"?!..

და ამგვარი შეგნებით არ უნდა ავღნიშნოთ ჩვენ მეორე მსოფლიო ომის 60 წლის თავი, და ამ ომში ქართველთა მონაწილეობა როგორც წითელარმიელი – საბჭოთა კავშირის მხრიდან, – და როგორც ეთნოქმედის ლეგიონერი – ჰიგლერის ნაციონალ-რასიზმის მხრიდან?..

XXV.

ამჟერად საქართველოს შეიარაღებულ ძალების ერთი ჯგუფი მოქმედებს ავღანეთში, მეორე ჯგუფი კი ერაყში – დემოკრატიული ქვეყნების კოალიციურ და თვით ერაყის ჯარებთან ერთად, რომ ახლო აღმოსავლეთის ამ რეგიონში გზა გაეხსნას დემოკრატიის, ერისა და პიროვნების თავისუფლებას, როგორც რთული და მრავალფეროვან-მრავალფეროვანი არ უნდა იყოს ეს მისია?.. "საგარეო" საქართველოს ეს მიერე წვლილი, მსოფლიოს ამ რეგიონში დემოკრატიის დანერგვაში, საბაზო არ არის, რადგან იგი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობის, და ამით ჩვენი მთელი მოსახლეობის უმრავლესობის სირვილს შეესაბამება?..

და ამ ფენომენსაც არ უნდა ჩაუფიქრდეთ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 60 წლისთავზე?..



ქართული საკავშირო შტაბის თანამშრომლები.

სურათზე: ქართული საკავშირო შტაბის თანამშრომლები. ცენტრშია ლეიტენანტი შალვა
ოქროპერიძე, ქართული საკავშირო შტაბის სამხედრო განყოფილების უფროსის მოადგილე.
ბერლინი, 1944 წლის ნოემბერი.





სურათზე: ქართული ლეგიონის ყოველკვირეული ორგანოს "საქართველოს" რედაქციის წევრები და კორესპონდენტები. მარცხნიდან მარჯვნივ: მიან: ს. მეგრეველი, კარლო ინასარიძე, გაიომ მალაკელიძე, დგანან: ილო ტაგიშვილი, ლეო ხუროძე, კ. მარჯანიშვილი, ილია კუჭუხიძე და შალვა მეგრეველი. ბერლინი, 1942 წლის მაისი.



რ ის თ ვ ის ე ი ბ რ ძო ღ ი თ ..

ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე ერთადერთი იყო, არის და დარჩება: ჩვენ ყველა - იყო საქართველო დამოუკიდებელი თუ დაპყრობილი სახელმწიფო, ე.ი. ვეჭონდა ბედნიერება გვემოქმედა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეებს თუ ვიყავით დაპყრობილი და ჩვენი მოლაშქრეობა, თვით მონღოლების ჯარშიც კი, საქართველოზე, ქართველ ერზე მეწერილი "ხარკი" იყო - ვიბრძოდით, ვიბრძოეთ და ვიბრძოლებთ მომავალშიაც საქართველოს, ქართველი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის თავისუფლებისათვის!..

და ამგვარი შეგნებით არ უნდა ავლნიშნოთ ჩვენ მეორე მსოფლიო ომის 60 წლის თავი, და ამ ომში ქართველოა მონაწილეობა როგორც წითელარმიელი საბჭოთა კავშირის მხრიდან, და როგორც ვერმახტის ლეგიონური პიგლერის ნაიცმ-რასიშმის მხრიდან?..



პუბლიცისტიკა

“თავისუფლების ჩირაღდანი”

აშშ-ს პრეზიდენტის ინაუგურაციის გამო(21.1.2005)

I.

“პრეზიდენტი არ არის არც თავადი და არც პაპა, მე არ ვეძებ ადამიანის სულში ფანჯარას”, – თქვა ვაშინგტონში, კაპიტოლის კიბეზე, ინაუგურაციისას პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 1989 წელს. მისმა შეიღმა – ჯორჯ უოკერ ბუშმა, 16 წლის შემდეგ, კი სხვა ტონით ილაპარაკა: იგი წარმოადგენს თვითღარწმუნებულ თავადს და თავისებურ პაპას, რომელიც იბრძვის მარადიული ჭეშმარიტებისათვის ბოროტების ჭინაღანდევ. “ამერიკა ქადაგებს, ამ ახალ საუკუნეში, მთელ მსოფლიოში და მის ყველა მცხოვრებთათვის თავისუფლებას”, – თქვა ჯორჯ უოკერ ბუშმა(George Walker Bush).

II.

“მე-19 საუკუნეში, როცა ამერიკის დასაუფლების დასახლება დაიწყო, აშშ-ს ელიტის ნაწილი აძლიერებდა გერიგორიის გაკაუებას, როგორც თავისუფლების საზღვრების საჭირო გაფართოებას. “სვებედის აღმოჩენა” (Manifest destiny) დასაუფლებითი გახდა, ეკონომიკურად და დემოგრაფიულად, ამერიკული თვითმყოფადობის დედაბოძი”, – ამბობს გერმანელი მომომხილველი კურტ კისტერი, და შეგვახსენებს აშშ-ს პრეზიდენტის რუზეველტის (F. D. Roosevelt) შეუპოვარ სიტყვებს – “...მხოლოდ შიშისაგან უნდა გვექონდეს ჩვენ შიში”; და პრეზიდენტ ჯონ კენედის (John F. Kennedy) ასევე შეუპოვარ სიტყვებს: “ნუ კითხულობთ რას აკეთებს თქვენი ქვეყანა თქვენთვის, იკითხეთ რას აკეთებთ თქვენ თქვენი ქვეყნისათვის”.

III.

ანალოგიურად შეუპოვარია ჯორჯ ბუშის ამჟამინდელი ინაუგურაციის სიტყვაც: “ისტორიაში არსებობს მხოლოდ ძალა, რომელიც სიძულვილსა და ბოროტებას ანადგურებს, გირანების მედიდურებას ფარდას ხდის და იმელსა და შემწყნარებლობას თესავს და ახარებს: ეს არის ძალა ადამიანის თავისუფლებისა”.

IV.

“თავისუფლების უკედავება ჩვენს ქვეყანაში უფრო და უფრო დამოკიდებულია თავისუფლების წარმატებებზე სხვა ქვეყნებში. მშვიდობიანობის შენარჩუნების საუკეთესო იმედია თავისუფლების განვრცობა მთელს მსოფლიოში”.

V.

“ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა არის: ყოველ ქვეყანაში და ყოველი კულტურის არეში დემოკრატიულ მოძრაობას და ორგანიზაციას მხარი დაუჭიროს, იმ მიზნით, რომ სოფლიოში გირანული წესობობა აღიკვეთოს”.

VI.

“ამერიკა დღეს ეუბნება ჩვენი მსოფლიოს ხალხებს – ყველამ, რომლებიც გირანულ სახემწიფოში და უიმედობაში ცხოვრობს, უნდა იცოდეს რომ: ამერიკა თქვენს დაიხმებას...არ შეურიგდება. თუ თქვენ მშვიდობიანობას დაუჭერთ მხარს, ჩვენ დაეცებით თქვენთან ერთად. დემოკრატიული რეფორმების მომხრეებს, რომელთაც დამონება, საგუსალო ან უცხოეთში გაქცევა ემუქრებათ, ვუბნებით: ამერიკა თქვენში ხედავს, რაც თქვენ სინამდვილეში ხართ: თქვენი განთავისუფლებული ქვეყნის ხელმძღვანელებს”.

VII.

“ამერიკის ყველა მოკავშირემ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მათ მეგობრობას აუანაზღაურებთ. ჩვენ გვეჭირდება თქვენი რჩევა, ჩვენ გვეჭირდება თქვენი დახმარება. დაეის გაღვივება თავისუფალ ქვეყნებს შორის არის თავისუფლების



მტრების მთავარი მიზანი. ერთობლივი ძალისხმევა თავისუფალი ერებისა, რომ დემოკრატიას ხელი შეუწყონ, - არის ჩვენი მტრების დამარცხების დასაწყისი".
"ერთ დღეს თავისუფლების გავრცელებული ცეცხლი მოფენს სინათლეს ჩვენი მსოფლიოს უბნელეს კუთხეებსაც".

VIII.

"ჩვენ მივდივართ წინ მტკიცე რწმენით, რომ თავისუფლება საბოლოოდ გაიმარჯვებს... არა იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს ხალხს რჩეულ ნაციად ვთვლით. დღემდე მოქმედებს და განსჯის თავისი საკუთარი სურვილით. ჩვენ კი გვეჯერა, რომ თავისუფლება არის კაცობრიობის ყველაზე უფრო მარადიული იმედი".

IX.

კომენტატორები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, თავის ამ 21-წუთიან საინაუგურაციო სიტყვაში, 42-ჯერ იხმარა სიტყვა "თავისუფლება" ("Freedom", "Liberty"), რომლის აღმა უნდა გაანათოს მსოფლიოს ყოველი მივარდნილი კუთხეც კი. ამიტომ უწოდებს, ალბათ, გერმანელი კომენტატორი კურტ კისტერი აშშ-ს პრეზიდენტს, ჯორჯ ბუშს - "კეთილის მსურველ ცეცხლის გამჩაღებელს", რომლის დროს მხედველობაში აქვს 2001 წლის 11 სექტემბერი, ნიუ-იორკის "ტყუპი ცათამჯენის" აფეთქება გეროლისტების მიერ, რასაც ჯორჯ ბუში "ცეცხლის დღეს" = "day of fire" - უწოდებს.

X.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე უფრო მკაცრი კრიტიკა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის არა მარტო ინაუგურაციის სიტყვისა, გაისმის განსაკუთრებით "ძველ" ევროპაში, უფრო მუსტად: ევროპის "დიდ" სახელმწიფოებში, რომლის დროს ჩვენ, როგორც "პატარა" სახელმწიფოების შვილებს, სხვა არ დავგეჟნია, თუარა "შენიშვნა" მაინც გამოეთქვათ ამგვარ, - ჩვენი აზრით, - შეუსაბამობაზე. "ძველი" ევროპის იმპერიული სახელმწიფოები "ნოსტალგიას" ხომ არ განიცდიან, რომ მსოფლიო ორკესტრში უკვე "პირველ" ვიოლონოზე ვეღარ უკვავენ?.. ამით ხომ არ არის ისიც გამოწვეული, რომ ამ "ძველი" იმპერიული სახელმწიფოების ზოგიერთი ხელმძღვანელი თვით არაბებსაც კი უუნაროთ თვლიან გაიგონ და აღიქვან თუ რა არის თავისუფლება და ეზიარონ ერისა და პიროვნების თავისუფლების ამ "სამოთხეს", რაზედაც აშშ-ს პრეზიდენტი თომას ვუდროუ ვილსონი (Thomas Woodrow Wilson - 1856 - 1924) ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში "დემოკრატიისათვის ჯვაროსნული ომის" ლოზუნგით ჩაება და მისი თოთხმეტ-მუსლიანი ომის შემდგომი "სამართლიანი" მშიდობიანობა (8.1.1918) ხალხთა "თვითგამორევას" და "დიდი" და "პატარა" ერების თანასწორუფლებიანობას მოითხოვდა?..

XI.

ნუთუ ძნელია იმის დანახვა, რომ "აშშ იმპერიული სახელმწიფო" არ არის, სულ ცოტა, დღემდე არსებული იმპერიული სახელმწიფოების გაგებით, რადგან იგი დემოკრატიული, ე.ი. სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლებს ეყრდნობა, რომელშიც მმართველობა (მთავრობა), კანონმდებლობა (პარლამენტი) და მართმსაჯულება (სასამართლო) ურთიერთ კონტროლის ქვეშ იმყოფება, რომლებიც ერთად "ხალხის უმრავლესობის სურვილს" გამოსახავენ?..

XII.

აღნიშნული კომენტატორი, დაბოლოს, ირონიულადაც კი შენიშნავს, რომ ჯორჯ ბუშმა გირანული, იმპერიული სახელმწიფოების ასასახავად გამოიყენა "მოძველებული" სინონიმები - მონობა, ჩაგვრა, დამცირება!.. ვითომ, საქართველოს ამჟამინდელი ბედით რომ შემოვიფარგლოთ, "პატარა" საქართველო დღეს არ განიცდის "დიდი" რუსეთისაგან მონობას, ჩაგვრას, დამცირებას ჩვენს აფხაზეთსა და შიდა ქართლი თითო-ოროლა აფხაზი და ოსი ექსტრემისტის ნიღბით?..

XIII.

მამინ შეიძლება ჯორჯ ბუშის საინაუგურაციო სიტყვას - "კეთილისმსურველი ხანძრის გამჩაღებელი" თუ "თავისუფლების მჭირადღენე" ეწოდოს?..

და, არა მარტო ამიგომ, მისასალმებელი არ არის დიდი ამერიკის პრეზიდენტის ქორჯ ბუმის – ამეკამინდელი ვიზიტი პატარა საქართველოში, რადგან ვიზიტი იქნება აშშ-ს პრეზიდენტი ნათელს არ ჰყოფს, რომ იგი, როგორც მისი წინამორბედნიც, “თავისუფლების ჩირაღდანი” ღვას დიდი და პატარა ერების თავისუფლების სადარაჯომე?.. და, როდის მივა ჩვენი დიდი მემობელი რუსეთი ამგვარ ჰუმანიტარულ შეგნებაზე?..

კარლო ინსარიძე
პარიზი, 2005 წლის 23 იანვარი

რომის პაპის იოჰანე-პავლე II გარდაცვალება

« მე ბედბერი ვარ – იყავით თქვენც ბედნიერი ! » – ესაა რომის პაპის – იოჰანე პავლე მეორის უკანასკნელი სიტყვები გარდაცვალებისას.

84 წლის იოჰანე პავლე მეორე გარდაიცვალა 2005 წლის 2 აპრილს რომში, რამაც დიდი გლოვა გამოიწვია მთელ მსოფლიოში. იგი იყო 26 წელსადაც და ხუთი თვე ერთ მილიონზე მეტი კათოლიკის ეკლესიის მეთაური მთელ მსოფლიოში. იოჰანე პავლე მეორის დაკრძალვას დაესწრო ორ მილიონზე მეტი მლოცველი და ორასზე მეტი სახელმწიფოს პრეზიდენტიც, მთავრობის თავმჯდომარეები და წარმომადგენლები მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან. იოჰანე პავლე მეორე დაკრძალვას იქნა პარასკევი, 8 აპრილს, წმინდა პეტრეს ტაძარში, რომლის დროს რომში იმყოფებდა ოთხ მილიონზე მეტი მლოცველი.

საქართველს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამშობლოს წერილი გაუგზავნა კარდინალ იოჰანე რაიციენტის, ვატიკანის კოლეჯის დეკანის, საღვთო ანტიმწიფის იოჰანე პავლე მეორის როლი მშობლის, ადამიანის უფლებების დაცვის, კომუნიზმის გაქვების, დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების საქმეში; აგრეთვე მსოფლიო ქრისტიანთა და სხვადასხვა კონფესიების ურთიერთდახმობის სფეროში.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე საქართველოს ვატიკანის საელჩოს ეწვია და სამელოიარო წიგნში სამშობლოს ჩანაწერი გააკეთა. საქართველოს პრეზერ-მინისტრი ზურაბ ნოღაძელიც ეწვია საქართველოში ვატიკანის საელჩოს და რომის პაპის გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარება გამოხატა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, იოჰანე პავლე მეორის გარდაცვალების გამო, დიდი მწუხარება გამოთქვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ: « ჩვენ დიდათ ვაფასებთ მისი პიროვნების წინაშე », – ბრძანა ილია მეორემ.

რომის პაპმა იოჰანე პავლე მეორემ მოიარა თითქმის მთელი მსოფლიო, ეწვია 107 სახელმწიფოს და 1022 ქალაქს. მოგზაურობის დროს მან განვლო გზა, რომელსაც სამჯერ აღმგაგება მანძილს დედამიწიდან მთავრდებ.

იოჰანე პავლე მეორე იყო პირველი ონგთეფქსი-პოლონელი. იგი ეწვია სინაოვას, პროტესტანტულ ეკლესიას, მეჩეთს, შეუთავსა რომის მუსიკა საეკლესიო გაღობას, ოფიციალურად გაამართლა კომუნისი, მოინანია ჯერაროსნული ლაშქრობების დროს დამეხებული მეფეობები, თუ, მოახდინა დედა გერეზას და ხუთასამდე წმინდანის კანონიზება.

იოჰანე-პავლე II გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ევანგელის სკალინის სარკასტული შენიშვნა – მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას – “რამდენი დივიზია ჰყავს რომის პაპსა?!” სკალის რომ ცოდნობა, რომ ბოლშევიკური კომუნიზმის დასამარებაში არსებით როლს სწორდ რომის პაპა ითამაშებდა ერთ-ნახევარი მილიარდი კათოლიკური მლოცველებითურთ, მაშინ, უდავოა, ანდინულ სიტყვებს ვერ იცგობა.

კი.აჰუაჰანს-ფრანს-პრეს

“Habemus papam” = “გვყავს პაპი”

2005 წლის 19 აპრილს, 18 საათსა და 44 წუთზე, ჩილელმა კარდინალმა – ესტევემბა – ვატიკანის პეტრეს ტაძრის შუა მოჯირიდან, წარმოსთქვა ცნობილი სიტყვები: „Annuntio vobis gaudium magnum: Habemus papam“ = „მე გახარებთ თქვენ დიდ ბედნიერებას: ჩვენ გვყავს ახალი პაპი“. და შემდეგ დასაბუღა ახალი რომის პაპი: გერმანელი კარდინალი იოსებ რატიცნერი, რომელიც თავიდათვს უწოდებს „ბენედიქტე XVI-ის“ = „დალოციუს“.


ბენედიქტე მე-16-მ, პეტრეს ტაძრის ბალკონიდან, დალოცა უამრავი მლოცველები, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ პეტრეს ტაძრის მოედანზე, – ცნობილი ლოციით: „Subi et Orbis“ = „ქალაქისა და დედამიწის“ დალოციით.

ბენედიქტე მე-16 რომის პაპად აირჩია 115 კარდინალმა, ვატიკანში, ცნობილ „სიქსტის კაპელაში“, რომელიც, თავის დროზე, მოხატულ იქნა ლეონარდო დავინჩის მიერ. როცა სიქსტის კაპელის სახურავის ბუხრიდან არა „შავი კვამლი“, არამედ „თეთრი კვამლი“ გამოჩნდა, რაც ახალი პაპის არჩევას ნიშნავდა, ათასობით მლოცველებში გაისმა შეძახილება: „Habemus papam“ = „გვყავს პაპი“.

რომის ახალმა პაპამ ბენედიქტე მე-16-ემ კი დანაცხადა: „შესანიშნავი რომის პაპის იოჰანე პავლე მეორეს შემდეგ, კარდინალებმა მე ამირჩიეს, როგორც უბრალო, მდაბალი მშრომელი ღვთის მამულში“.

რეიტერი, 19.4.2005 წელი

რადიო თავისუფლების ახალი ერა



“ჩვენი ჩირალღანი კი არ არის ქრისტიანობა, ან მაკმალიანობა, მემარჯვენეობა, ან მემარცხენეობა. ჩვენი ჩირალღანი არის უნივერსალური, ...თავისუფლების ჩირალღანი, სინათლე და განათება, ახალგაზრდობა და ენერჯია”. “განათება გულისხმობს დემოკრატიული სოციალური უსუსელობათა აღქმას”.

Torch Lights Up New Era At Radio Free Europe/Radio Liberty

Radio Free Europe/Radio Liberty (RFE/RL) enters a new era with a new symbol on 30 March, when a Torch Allame takes over from the Freedom Bell as RFE/RL's company trademark. RFE/RL President Thomas A. Dine says the silver torch with its burnt-orange flame is universal. "Our torch is neither Christian nor Muslim, right-wing or left-wing. It is universal, forward-looking, modern and, above all, the RFE/RL torch is light and illumination, it has youth and energy," he said.

The new company slogan or signature line is "Illuminate Your World," conveying that the news and information RFE/RL brings daily to millions of people around the world helps them understand their environment and gives them the information tools for the political and economic engagement needed to shape their societies.

The torch replaces the Freedom Bell, which was RFE/RL's logo for more than half a century. It now enters the history books along with the radios of the Cold War days that it symbolized. That history -- in truckloads of tapes and documents -- was donated to the Hoover Institution archives at Stanford University, California, and is being processed as a record of the ideological fight against Communism in the second half of the 20th century.

It starts with an account of how Radio Free Europe (RFE) came to take the bell as its symbol. It was not, as some people mistakenly believe, America's famously cracked Liberty Bell. The origins of RFE's logo are a 10-ton bell especially made in the British foundry Gillett and Johnston and decorated with a frieze of five figures representing the five races of mankind passing the torch of freedom. It arrived in New York in 1949 and traveled to 21 cities in the United States as part of the "Crusade for Freedom" drive to raise money to found and promote Radio Free Europe. More than 16 million Americans responded with contributions and RFE and its bell logo were born. Instead of the five figures, the RFE bell logo had a vertical divide into a darker and lighter side, generally interpreted as the divide between the democratic West and the communist East. But for many years now, Europe has been whole and almost free and both the dividing line and the bell have lost their meaning. The original Freedom Bell was permanently installed in West Berlin in 1950. Few people today know where it is, why it is there, and what it represents.

RFE/RL itself bears little resemblance to the radios headquartered in Munich that beamed truth and hope across the Iron Curtain to the Soviet Union and its five European satellite states. Since the move to Prague in 1995, RFE/RL has been going through a dynamic process of transformation and modernization that is creating an entirely new organization. The company has broadened every aspect of its operations -- it no longer fights communism, it fights tyranny; its broadcasts are no longer confined to the former Soviet bloc, but stretch across continents to Iran, Iraq, and Afghanistan. Broadcasting is no longer restricted to shortwave frequencies but is heard on a multitude of other, more popular frequencies in rebroadcasts by local AM and FM stations. And RFE/RL itself is no longer limited to radio broadcasting. It is venturing into television partnerships and has a vibrant, thriving, multilingual Internet site accessed by millions of users all over the world. The latest and perhaps most exciting chapter in RFE/RL's development is "Convergence," a process of internal restructuring and training to integrate a multiple media approach, attracting new audiences and viewers with tailored information.

The easiest way to communicate these profound changes is to change the company symbol; but it is not a simple task to illustrate the new aspects of RFE/RL while showing its essence has

remained the same. The essence of RFE/RL today is freedom, as it was 55 years ago, only the technology and geography have changed. RFE/RL's supervisory Broadcasting Board of Governors chose Chermayeff and Geismar, a leading New York-based design firm, to design the new logo. Their creation, launched first on RFE/RL's Internet sites, meets all expectations. The silver torch is a modern representation of the torch of freedom etched on the old bell and a link to RFE/RL's tradition. And the orange flame, in the words of RFE/RL President Dine, "denotes warmth and energy," illuminating understanding to promote the values of democracy.

RADIO FREE EUROPE/ RADIO LIBERTY

<http://www.rferl.org/about/organization/newlogo-print.asp>



ე ვ რ ო პ ი ს დ ე მ ა მ ა

ელენიზმი და ბონაპარტიზმი

I.

ვინ არიან ევროპის, არა მარტო გეოგრაფიული ცნების, დედ-მამა, მშობლები? – ჩვენ ვამბობთ, სხვა მარაგაღია შორის, პირველყოელისა არიან ელენიზმი და ბონაპარტიზმი.

II.

ბერძნული მითოლოგიის თანახმად, მამამერთი ძეგსი(უბიგური) გადაიქცა ხარად, მოიგაცა ფენიქსის თუ ფონიკელების მეფის აგნორის ქალიშვილი – ევროპა, დაისვა მურგზე და დაეშვა კურძულ კრეცაზე, სადაც მათ დაუბადათ ეპიქვილები – მინოს და რადამანგის. ეს მითოლოგია გახდა დედამიწის ერთი ნაწილის – ევროპის – სინონიმად არა მარტო ხელოვნებაში, თუმცა გეოგრაფიულად ევროპა ევრ-პაშის მთიანობაში გვევლინება.

III.

ელენიზმი, საერთოდ, ბერძნული კულტურის გავრცელება იწყება ალექსანდრე მაკედონელის ეპოქიდან, რომლის წინაპირობა ხდება "პოლის"="ქალაქი სახელმწიფოს" შეცვლა უფრო დიდი სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ერთობით, რასაც მოყვა, ისტორიკოს ა. ბურკარდის აზრით, "...ბერძნულით განსაზღვრული მსოფლიო კულტურის წარმოშობა, რასაც ალექსანდრე მაკედონელის ხანიდან, პელენიზმად იწოდება; და ეს ცნება სირაკუზის, კართაგენის და რომის გაფართოებულ არეს მოედო". პელენისტურ სახელმწიფოთა სამყარო კი უკვე კოსმოპოლიტიკური ხასიათის იყო, რომელსაც მოყვა უფრო დიდი ეკონომიკური ერთეულები საერთო ფულით, უფრო განვითარებული ტექნიკით და ინტენსიური მმართველობით, რასაც ხელი შეუწყო ალექსანდრე მაკედონელისა და მისი მემკვიდრე "დიადიხების" თითქმის ერთგვარი ქალაქების დაარსებამ, რომელთა მავალითობა სხვათა შორის, ალექსანდრია თუ პერგამონი.

IV.

"ბონაპარტიზმი", ამ მრავალფეროვანი და მრავალფუნოვანი ტერმინის რაობისაგან განსხვავებით, – ჩვენ ვვსრის შემოფარგლით მხოლოდ ნაპოლეონ ბონაპარტეს, ე.ი. ნაპოლეონ I. (1769–1821) ცხოვრება და მოღვაწეობა. კარენ ანდრეზინი და კლავ ვიგრევე ნაპოლეონ I-ს, კაიზერად=კეისრით დავერგვიანებთ 200 წლისთაგამ, – "ევროპის მამას" უწოდებენ. ("მშ", 49-2004, მ.138), რაც ჩვენ არასრულად ვეცხახება, რადგან "ევროპის დედად" ელენიზმს მივიჩნევთ, თუმცა ნაპოლეონ I-ლი, თუთოთ, თანამედროვე "ევროპის მამად" შეიძლება იწოდოს.

V.

ნაპოლეონ I-ის ცხოვრება და მოღვაწეობა უფრო ხალხურ მღაპარს, ვიდრე "რეალობას"წააგავს: წარმომბოთი კორსიკელი, 1779-1784 წლებში დაამთავრა სამხედრო სკოლა და გახდა არტილერიის ლეიტენანტი; 1793 წელს კორსიკიდან გადავიდა საფრანგეთში და მიემხრო ე-წლ "მთის პარტიას". 1795 წელს, 24 წლის ასაკში, მისი დამსახურებისათვის ქალაქ ტულონის ისე-აღებაში, გახდა ბრიგადის გენერალი. რობერსპიერის ჩამოგდების შემდეგ(1795 წელი), ჯერ დაპატიმრებულ იქნა, და არმიიდან გაიხსენ, მაგრამ შემდეგ რიოლისტების აჯანყების ჩაქრობას წარმატებით მეთაურობდა, რის შედეგად გახდა "სამინაო არმიის", ხოლო შემდეგ (1796 წელი) "იგალიის არმიის" მთავარსარდალი. 1796 წლის 9 აპრილს ცოლათ შეირთო კომუნენ ეუ ბოარენ, რითაც მან გზა გაიკაფა დირექტორიუმის გაბაგონებულ წრეებში. პარალელიად "რევოლუციური ომებისა" (1796-1797 წლები) იგალიაში, ნაპოლეონი აწარმოებდა იგალიის ტერიტორიალურ მოწესრიგებას; სამაგო ხელშეკრულებებმა ლიბონში და კამპოფორმიოში, 1597 წლის დეკემბერში, გააძლიერა მისი ძალაუფლება. 1797 წელს, დაბრუნდა რა იგი პარიზში, დირექტორიუმმა გადასცა მას "ინგლისის არმიის" მთავარსარდალობა. მაგრამ შემდეგ დაინიშნა "გევიპის ექსპედიციის"(1798 წელი) მთავარსარდალად, საიდანაც იგი 1799 წლის 9 ოქტომბერს დაბრუნდა საფრანგეთში.

VI.

ნაპოლეონი უკვე იმდენად პოპულარული გახდა, რომ 9-10 ნოემბერს ჩამოაგდო დირექტორიუმი, და 1799 წლის 13 დეკემბრის "კონსულარული კონსტიტუციის" თანახმად, ნაპოლეონი გახდა პირველი კონსული, სამი 10 წლით განსაზღვრული კონსულიდან. სამინაო პოლიტიკაში, ნაპოლეონმა მოქიშე რევოლუციურთა დაჯგუფებებს დაუპირისპირა ოსტატურად ორგანიზებული, განათლების ეპოქით გაყენითობა უაღრესად ცენტრალისტური ხელისუფლება. რევოლუციის შედეგად განწვევებული რეპორტიობა ეკლესიასთან, ნაპოლეონმა დაამთავრა კონკარდატი, რომელიც დადებულ იქნა პაპა პიუს VII-სთან 1801 წელს, და რომლის თანახმად სახელმწიფოთ გადამიბარა ეკლესიის გავრისნება. 1804 წელს ნაპოლეონმა გამოსცა "სამოქალაგო სამართლის კოდექსი" = "Code civil", რომელიც "Code



Napoliნი“-აღაც იწოდებოდა, და რომელიც დღემდე განსაზღვრავს სამოქალაქო უფლებებს საფრანგეთში და გეგავუნა მოახდინა ევროპის ქვეყნების სამართალზე.

VII.

ნაპოლეონი 1802 წელს გახდა კონსული მთელი სიცილიის განმავლობაში. 1804 წლის 2 დეკემბერს კი, პარიზის ლეთისმშობლის გაძარში პაპა პიუს VII-ემ აკურთხა იგი “ფრანგების კაიმერალ”, “ეკისრალ”, რომლის დროს ეკისრის გვირგვინი თვითონვე დაიდვა თავზე, და ამით ნათელი გახადა მისი არა “მეიური”, არამედ “ამქვეყნიური” უფლებებრივების სათავე. ნაპოლეონი იმ დროს იყო 35 წლის, და ამ ცერემონიის ყველა დამწერსათვის ნათელი იყო, რომ ამ აქტით ახალ ეპოქას მიევა დასაბამი მთელი ევროპის ისტორიაში. ამჟამად, - საფრანგეთი ოფიციალურად აღნიშნავს რა ნაპოლეონის კაიმერალ კურთხევის 200 წლისთავს, -ქალაქ პუატიეს უნივერსიტეტის პროფესორი ნატალი პეტიგო ამბობს: “საფრანგეთს უყვარს მისი ძღვემამოსილებითა და სიდიადით თვითდატკობა.” - “რაც მას ასე სამშინლად აქლია დღეს”, - დასძენენ სარკასტულად(!) კარენ ანდერსენი და კლაუს ვიგერუფი.

VIII.

ნაპოლეონი საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მოექცა, რადგან მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში თავი მოიყარა საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის დიდი რევოლუციის წინა და მომდევნო პერიოდის დაღმობი-ვარყოფით მხარეებზე, ე. ი. მის პიროვნებაში გამოიხატა ევროპის ამ პერიოდის შეკამება, რასაც მოყვა მთელი ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვრების განახლება, მიუხედავად ნაპოლეონის დასჯის მომდევნო რეაქციისა. თვით “მზიური მფუფე” - ლუი XIV-ე-ს დაჩრდილა მან, და მითოლოგიური პიროვნება გახდა, როგორც მხოლოდ ენა ღარკი - ფრანგი ერის, “ნაციის მხსნელი”.

IX.

როცა ნაპოლეონმა დაწინის გვირგვინი თვითონვე თავისი ხელით თავზე დაიდვა და პაპა პიუს VII-ემ მას გადაეხვია და დამსწრეთ საზეიმოდ შესძახა: “Vivat Imperator in aeternum”, საფრანგეთის პოლიციის მინისტრი - ფუჟე ეჭვის თვლით უყურებდა ამ გრანდიოზულ ცერემონიას: ვითომ რევოლუციური გარდაქმნების არე-დარევის შემდეგ, ახალი რეჟიმი შეძლებდა სტაბილურობის შექმნას, რომლისაკენ მისწრაფებდა განსაკუთრებით ბურჟუაზია?. თვით ნაპოლეონის კაიმერის გვირგვინით შემკობა ხომ არ იყო რევოლუციის პრინციპების უგულებელყოფა?. და, როცა ეს გაიყო მორთულ ვენანო მცხოვრებმა ლუდვიგ ბეთხოფენმა, პირველი გვერდი მისი 3-მე სიმფონიისა - “Eroica”, რომელიც მან “პირველ კონსულ ნაპოლეონს” მიუძღვნა, - დახია. მრავალი რევოლუციონერი და მათი მომხრეები მოკში მოექცა აგრეთვე, როცა ნაპოლეონმა ისე შემკვიდრებოთი მონარქიული წესობილება შექმნა, და ისიც მამაკაყების ხაზით. მაგრამ, როცა მან გვირგვინი თავისი ხელით დაიდვა თავზე, ეს იყო ნაპოლეონის მიერ განაგარიმებული აქტი გვირგვინი თავისი ხელით დაიდვა თავზე, ეს იყო ნაპოლეონის მიერ განაგარიმებული აქტი კაიმერის “ღვთიური წარმოშობის”უარყოფისა. ნაპოლეონის ფიცი დასტურებდა რევოლუციიდან წარმოშობილი რესპუბლიკის დაკავშირებას “გამარჯებულ რევოლუციის გვირგვინოსან წარმომადგენელთან”, რაც, როგორც ჩანს, თავს იყრდა თვით ნაპოლეონის პიროვნებაში.

X.

ნაპოლეონმა ვალდებულა იყოსა ბურჟუაზიის ინტერესების გაცეა, ფეოდალური პრივილეგიების აღკვეთა, რომლის შედეგადა წარმოიშვა 100-ასმზე მეტი მემამულე, ეი მდიდარი გვებები და მოქალაქეები, რომელთა ქონებას ნაპოლეონის “სამოქალაქო სამართლის კოდექსი” იცავდა. ამით კაიმერისა და ახალი ელივის ინტერესები დაემთხვა ერთმანეთს, და წარმოიშვა მღუღე - ერთი მხრივ - მემკვიდრეობითი არისტოკრატისა და - მეორე მხრივ - რადიკალურ იაკობინელებისა და “სანკულოტების” (Sanclotite”. გერმანი “პროლეტარიატი” ამ დროს არ არსებობდა) წინააღმდეგ. ამდენად, ნაპოლეონი, როგორც გენიალური მხედართმთავარი, ევროპის განმანახლებელი გახდა და “მოქალაქე-კაიმერი” და სარანგეთის ეროვნული განმათავისუფლებელი. “იგი ვახდა აპამინა, რომელიც ნაციონალურ ქონებას იცავდა, და მისი გვიგინი გახდა ამ იდეის დადასტურება”, - წერდა ბაკაიკი.

XI.

ნაპოლეონმა, მისი კაიმერალ დაგვიგინების წინ, პღებისციკით, რაც ძალბადა საფრანგეთში ხალხის სურვილის გამოსახავად დღესაც, ხალხს - 3 572 329 ხმით, 2 569 ხმის წინააღმდეგ - დაადატურებინა საფრანგეთის სახელმწიფოს “შთამომავლობითი მონარქიული წესობილება”, რის შესახებ მოვიგონებთ ხალხს ავრთხილებდენ: “ახალი ეკისარი მმაგათვის ახალ რომს, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაევიწყეთ, რომ ეკისარს ადამიინა”. თვით ნაპოლეონი კი ამბობდა “მე ვარ Charlemagne”=“Karl der Grosse”=“კარლ დიდი”, რამიც ნატელისმევე იყო საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ერთობა ერთ ფედერაციულ სახელმწიფოში - დამყარებული რესპუბლიკის მოდერნულ მმართველობაზე, რომელშიც უკვე ადგილი აღარ არსებობდა არც “გერმანული ნაციის რომაულ რახისა”, რომელიც თითქმის 1000-სი წელი არსებობდა და არც ჰაბსბურგის კაიმერ ფრანც II-სათვის, რომელმაც 1806 წელს გადადგა, რის შემდეგ აუსტერლიცში დამარცხება მხოლოდ ფორმალური გახდა.



XII.

ნეტკე ნაპოლეონში ხედავდა “სრულყოფილ ევროპიელს, გმირს კეთილსა და ბოროტის იქეთ”; მოქმედაური ხოგბას ასხადა მას როგორც “ადამიანის ნებისყოფის უღამაშეს გამოისახავს”; ჰეველმა კი ნაპოლეონში დაინახა იენაში წარმოებულ ბრძოლებში “მსოფლიო კვინი ცხენზე”. და წერდა: “ერთ დღეს ვერმანია გაერთიანდება ერთი დამპყრობელის ძალით”. პოლონეთმა კი მის ნაციონალურ პინშიყ კი. 1918 წელს, ხოგბა შეასხა ნაპოლეონს. ნაპოლეონს სურდა ევროპის კონტინენტის სახელმწიფოთა ფედერაციაში გაერთიანება – ერთობრივი ტერიტორიათა, ერთობრივი სამართლით, საერთო სასამართლოთი, საერთო უფლით, თავისუფალი საქონელთ-ბრუნეთი და მიმოსვლით. “დაახ, ნაპოლეონი იყო ევროპის მამა”, – ამბობდა ფრავი მიმოშხილელი მუსეი გულარდი მაგრამ ისე უნდა ითქვას, რომ ინგლისი, ეს “ვაჭრებისა და ვაჭრუკანების” ქვეყანა ნაპოლეონს არ სურდა გამხდარიყო კონტინენტალური ევროპის შემადგენელი ნაწილი; მას სურდა საფრანგეთის ჰევემონია მიეღეს ევროპაზე. “ყოველი მგზაური თავს უნდა გრძობდეს საკუთარ სახლში, მიუხედავით იმისა, სად იმყოფება იგი”, – ამბობდა ნაპოლეონი, და ვანმანგაედა: “გაერთიანებული ქვეყნები ჰერაკლეს სევეტიდან(ტიბალატარი. კ.ი.) კამჩაკამდე უნდა იმართებოდეს საფრანგეთიდან”. და როცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა – ვინსტონ ჩერჩილმა, ღე გლოთან ერთად, პარიზის “ინველიდების კთედრალში” ნაპოლეონის სარკოფავის წინაშე მიიხარა, – თქვა: “არაფერი უფრო დიდი არ არის ამ მსოფლიოში”.

XIII.

ნაპოლეონის სტენოგრაფიული ბიოგრაფია კი ასეთია: დაიბადა 1769 წლის 15 აგვისტოს კორსიკაში: 1785 წელს გახდა არტილერიის ლეიტენენტი; 1789 წლის 14 ივლისს დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია ბასტილის აღებით; 1793 წელს ნაპოლეონი უერთდება იაკობინელთა რევოლუციურ პარტიას მაქსიმოლიან ღე რობესპიერის მეთაურობით; 1794 წელს რობესპიერს მოკეტენ თავს; 1795 წელს ნაპოლეონი ჩააქრობს როიალისტების აჯარყებს, რის შემდეგ ხდება არმიის მთავარსარდალი; 1796 წელს ნაპოლეონი დაქორწილდა მარია-ჟოზეფინე ტამერ ღე ლა პაერიმე(კომუენ ბოარენე); ომი ავსტრიის ჯარების წინააღმდეგ იტალიაში; 1798 წელს ნაპოლეონი სარდალია ევეიგის საექსპედიციო კორპუსისა, რომლის დროს საფრანგეთის ფლოტს ამარცხებს აბუკირთან დიდი ბრიტანეთის საზღვაო ფლოტი; 1799 წელს, მმართველი “ღირექტორუმის” ჩამოგდების შემდეგ, ნაპოლეონი გახდა “პირველი კონსული”; 1802 წელს ნაპოლეონი აირჩიეს კონსულად “მთელი ცხოვრების მარძილზე”; 1804 წლის 2 დეკემბერს ნაპოლეონი ხდება “ფრანგების კაიზერი”; 1805 წელს ნაპოლეონი ამარცხებს ავსტრია-რუსეთის ჯარებს აუსტერლიცში; ინგლისი კი ამარცხებს გრაფალატთან საფრანგეთის საზღვაო ფლოტს, რის შემდეგ ბრიტანეთი გაბატონდა ზღეზე; 1806 წელს იქმნება ე.წ. “რაინის ბუნლი”, რომელსაც არ უერთდება არც ავსტრია და არც პრუსია; ნაპოლეონი ამარცხებს პრუსიას იენას ბრძოლებში და დაიპყრობს ბერლინს; 1807 წელს საზავო ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-თან; საფრანგეთის ჯარები იპყრობს ესპანეთს; 1809 წელს ნაპოლეონი ამარცხებს ავსტრიას; 1810 წელს ნაპოლეონი ცოლად ირთავს ავსტრიის იმპერატორის ფრანც I-ლის ასულს მარი-ლუიზას; 1811 წელს ნაპოლეონის ერთადერთი ვაჟიშვილის ნაპოლეონ II-ეს დაბადება.

XIV.

1812 წელს ნაპოლეონმა, მისი “გრანდ არმიით”, რომელიც ევროპის 20 ნაციის=ერის ჯარისკაცებისაგან შედგებოდა, სულ 400-ათასი კაცი, – ვარდალახა რუსეთის იმპერიის საზღვარი მეშელთან, რომელსაც მოყვა “ბოროდინოს ბრძოლები”, რომელშიც რუსეთმა 45-ათასი ჯარისკაცი დაკარგა, ფრანგებმა კი 10-ათასი ჯარისკაცი, მათ შორის 40 ვენერალი; თუ ლეო გოლსტოის “ომისა და ზაეის” მიხედვით ვანსუქით, ბოროდინოს ბრძოლებში რუსეთმა გაიმარჯვა, ხოლო თუ ფრანგ ისტორიკოსებს დაეუფლებით – ბოროდინოში “გრად არმიამ” გაიმარჯვა, რის შედეგად გზა გაიხსნა მოსკოვისაკენ, რომელიც ნაპოლეონმა 1812 წლის 14 სექტემბერს დაიპყრო. მაგრამ ნაპოლეონი იძულებული გახდა მოსკოვი დაეტოვებია, და მის 400 000-ს ჯარისკაციდან, რომლებშიაც 1812 წელს რუსეთის იმპერიის საზღვარი ვარდალახა მეშელთან, 1812 წლის 16 დეკემბერს, ისევე მეშელთან, უკან დაბრუნდა მხოლოდ 18 000-სი ჯარისკაცი; დანარჩენები გაიყინა რუსეთის სუსხნიან ზამთარში თუ ბერგინაზე გადასვლისას.

1813 წელს კი რუსეთმა, პრუსიამ, დიდ ბრიტანეთმა, შედეგთა და ავსტრიამ დაამარცხეს ნაპოლეონი ლაიფციგში, რის შედეგად მათ, 1814 წლის 31 მარტს, უკვე დაიპყრეს პარიზი.

XV.

ნაპოლეონმა, მისი მარშლების დაქინებითი მოთხოვნით, ხელი მოაწერა მისი გადადგომის სიველს, რომელშიც ნათქვამია:

“მე შეგად მიყვარს საფრანგეთი! მე მისი სიდიადის ვარდა სხვა არაფერი არ მინდობს; მე მის უბედურებას არ შეუწყობ ხელს! უნდათ, რომ მე გადადეცე, კარგი, მე გადადეცე!”

XVI.



და წარმოუდგენელი ეპილოგი: ნაპოლეონს გამარჯვებულმა საცხოვრებლად მიუჩინეს ხმელთაშუა ზღვის კუნძული ელბა, რომელიც ნაპოლეონმა 10 თვის შემდეგ გატოვა. გააჯიდა საფრანგეთში და მხოლოდ 700 საღვთობით ისევ სურდა ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რასაც მოყვა ე.წ. "100 დღე", რაც დამთავრდა ნაპოლეონის დარცხით ვატივროლისთან. ამჯერად ნაპოლეონს საცხოვრებლად მიუჩინეს წმინდა ელენას კუნძული აგლანდიის ოკეანეში, სადაც იგი 1821 წლის 5 მისს გარდაიცვალა. 1840 წელ კი ნაპოლეონი გადასვენეს საფრანგეთში და დაკრძალეს პარიზის "ინვალიდების ტაძარში". ამით კი განხორციელდა ნაპოლეონის ანდერძიც, რომელშიც ნათქვამია, "...რომ მე მუსრს განვიყენო სენის ნაპირზე, შუა ადგილას ფრანგი ხალხისა, რომელიც მე მეტად მიყვარდა".

XVII.

"ღღესაც დამატყვევებელია გურისტებისათვის გიგანტური, ოდნავად ბჭყვილა სარკოვაგი, რომელიც ურუანტელს იჭყენს ჩვენში ამდენი წარსული, სადაცო, მაგრამ დაუეიწყარი სიღიადით", - ამბობს რომან ლაივი აპჯერად, ნაპოლეონის კაიზერათ უკრთხევის 200 წლისთავზე, რაც ჩვენ გვბიძგებს ნაპოლეონის ფენომენის უფრო ღრმა ანალიზისაკენ.

XVIII.

ისტორიკოსი დიგერ ლანგევიძე ("პ.", 49/2004, გვ.145), გუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, ნაპოლეონის კაიზერად უკრთხევის 200 წლისთავთან დაკავშირებით, წერს: "ნაპოლეონი იყო მაშინ გარდაქმნილი ძალა საერთოდ. მისი პროგრამა იყო ევროპის გარდაქმნა". "მისი მიზანი იყო უკვე რევოლუციური. ებრაელობა და სხვა უშიცრესობები, დარბი თუ მღიდრები - კანონის წინაშე იყვნენ თანასწორუფლებიანი... ნაპოლეონის კოდქსით წარმოიშვა მოქალაქობრივი კერძო საკუთრების საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ღღესაც ვცხოვრობთ". "თვით პრუსიამიც კი იგრძნობოდა ნაპოლეონის მეგავლენა, თუ გნებავთ, სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებით საფრანგეთის მაგალითის მიხედვით". "წმინდა რომის გერმანული ნაყის რაიხში მაშინ არსებობდა ათასმე-მეტი სახელმწიფოს მსგავსი ერთობა... 1815 წელში კი არსებობდა მხოლოდ ორმოცამდე სახელმწიფო". "საეკლესიო სამთავროები გაუქმებული, მონასტრები დაშლილი, ეკლესიების საკუთრებანი აუნაზღაურებლად აღკვეთილ იქნა. საერო თვავლები ვალდებული იყვნენ მიეყათ მეწირულებანი ეკლესიისათვის, რისგანაც შემდეგ შემოღებულ იქნა "ეკლესიის გადასახადი", თუმცა ამგვარი სექულარიზაცია, ე.ი. საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად, მკიყვენული იყო. ნაპოლეონმა გახსნა კაბ რეფორმებისაკენ; "ყველგან შეიქმნა მოდერნული მმართველობანი, განყოფილებანი, მინისტრის მთავრობითი, მკაცრად ჩამოყალიბებული კომპეტენციით. ჩვენთვის ღღეს ყველაფერი ეს ამაღლებული არ არის, მაგრამ მაშინ ეს იყო უაყრსად ღღმა რეფორმა". "საფრანგეთის რევიოლუციამ, პირველყოფისა, ინტელიგენციამ მოახდინა ნაციონალური იდიის ვაერეკლება..." "ნაციონალიზმის კვლევა-ბიოებამ ნათელი ვახადა, რომ ნაყის წარმოშობას ყოფილთვის წინ უძღვის ერთი ერის მიერ მეორე ერის დაზავება-დამყირება. ამის შედეგად ადამიანი ქმნის თვითმეგნებას უცხო ძალის წინააღმდეგ, რომელსაც საკუთარი ერის სამიმროებად მიიჩნევს". "ზოგიერთები მართლაც ხედავენ საფრანგეთში დემოკრატიულ რესპუბლიკურ ნიმუშს", - დასძენს დიგერ ლანგევიძე.

XIX.

ნაპოლეონი „...ახალგაზრდობაში იმიარებდა ფრანგ განმანათლებელთა (განსაკუთრებით ე. ქ. რუსოსა და ჯ. რუინალის) იდეებს". „ნაპოლეონ I-ის ურეკიდნტო წარმატებანი საუფუბლად დადო მისი პირივნების უსამჯრო განდიდებას, უამრავ ლტენდას. ნაპოლეონ I-ი პირადი თვისებებით (მრავალმხრივი ნიჭი, ცივი, ანგარიშიანი, ნათელი გონება, სიმამაცე, გამბედაობა) განახორციელდა ბურჟუაზიის - ახალგაზრდა აღმაჯალი კლასის - ძლიერ მხარეებს. (მავრამ მის მიკმეგებებაში თავს იჩენდა ამ კლასის უარყოფითი მხარეებიც: აგრესიულობა, ეერაგობა, ანგარება, პატივმოყვარობა, ავანტიურნიზმი). განწყევიტელმა ომებმა მხოლოდ ღღობით გაახანძლივეს იმპერიის არსებობა, გააძლიერეს ევროპის ხალხების განმანათილუფებული მოძრაობა და აიძულეს ნაპოლეონ I-ს მიმართაო გოგალური მომენისათვის როგორც სამხედრო დარგში, ისე ეკონომიკურ პოლიტიკაში... სწრაფვა მოსვლის დამორჩილებისაკენ ღღობით განმავლობაში გარდაჯული მარცხისათვის განწირავდა ნაპოლეონ I-ის სამინაო და საგარეო წარმატებას, აკარგვენებდა მას ყოველგვარ დასაყრდენსა და მხარდაჭერას, როგორც ქვეყნის მიგნით, ისე მის გარეთ"(ქს.ე. გომი 7, ღბილისი 1984 წელი, გვ.316).

XX.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მსეყერთა მიერ ნაპოლეონის მოღვაწეობის ამგვარ განკვერტაში ჩვენ სრულიად უკლებლყოფილად გვესახება საფრანგეთის იდი რევილუციის „...თვისუფლება-თანასწორობა-მშობის“ მრწამსი, რომლის ცხოვრებაში გამტარებელი - მიუხედავად მრავალმხრივი მიხეველ-მოხევეული გმებისა - მაინც ნაპოლეონ I-ი იყო და დარჩა. და თუ ჩვენ საფრანგეთის 1789 წლის რევილუციას, და ამით ნაპოლეონ I-ის მოღვაწეობას ანერიის შეერთებული შტატების 1776 წლის 4 იელისის „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ (The Declaration of



Independence) კონდექსტში განვიხილავთ, დაეინახავთ, რომ აშშ-ს განთავისუფლება კოლონიურ მდგომარეობიდან წინამორბედა საფრანგეთის დიდი რევოლუციისა, რითაც ეითომ პირველის კოლონიურ მდგომარეობიდან განთავისუფლება და მოწოდება „...აღამიანები აღჭურვილია თანასწორუფლებიანობით“ და „უკლებლო უფლებებით, რომელთა შორისა ცხოვრება, თავისუფლება, და ბედნიერების მოპოვება“ – გამოძახილი არ არის საფრანგეთის დიდი რევოლუციის „თავისუფლება-თანასწორობა-მშობის“ მრწამსისა, წომილითაც აშშ-ს 1776 წლის 4 ივლისისა და საფრანგეთის 1789 წლის 14 ივლისის რევოლუციები ერთ კონტექსტში, ერთ ცნებაში ექცევა, რაც, თავის მხრივ, გამოდინარეობს ელენიზმისა და „ნაპოლეონიზმისაგან“ და ამით საკაცობრიო მნიშვნელობის მრწამსი, კრეფო ხდება?...

XXI.

აღბათ, ისტორიის ჩარხის „უკულმა გრიალს“ უნდა მიეწეროს ის, რომ ევრე ენის 1815 წლის კონგრესის მონაწილე „გამარჯვებულები“ და ევრე იმდროიელი ევროპის მოსახლეობა ვერ აღმოჩნდა ვანეითარების, ცივილიზაციის იმ ღონეზე, რომ სევენთ ნაპოლეონის წინასწარმეტყველური განჭერება (არა მარტო) ევროპის მომავლისა, რის შემადრწუნებელი მაგალითია, თუ გნებავთ, მოგიერთ არა მარტო რუს ისტორიკოსთა ნაპოლეონ I-ლის შედარება ადოლფ ჰიგლერის ნაციზმ-რასიზმთან, ვინაიდან ჰიგლერის ჯარებმაუ მოსკოვამდე მიაღწია.

რა გასაკვილია, რომ რუსეთი ასეთ შედაპირულ აზრებს რუსეთის იმპერიის გასამართლებლად იყენებს, თუ გნებავთ, საქართველოს მიმართ, როცა – 1776 წლის 4 ივლისისა და 1789 წლის 14 ივლისის მრწამსთა საწინააღმდეგოდ – „სამამულო ომს“ აწარმოებდა როგორც პირველ, ისევე მეორე მსოფლიო ომში. მართალია, ნაციზმ-რასიზმის წინააღმდეგ წარმოებული ომი, უთუთ, დადებითად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ რუსეთი რომ არასოდეს არ იზიარებდა და დღესაც არ იზიარებს 4 ივლისისა და 14 ივლისის მრწამსს,რაც ნაპოლეონ I-მა მოსკოვამდე კი მიიგნა?..

XXII.

და – აელნიშნავთ რა ნაპოლეონ I-ლის კაიზერად კურთხევის 200 წლისთავს – ეითომ დღეს ყოველმა იმპერიულმა სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა რუსეთმა, არ უნდა ჩაუხეიქრდეს, რომ იმპერიების ხანა ისტორიას ჩაბარდა და საჭიროა 4 ივლისისა და 14 ივლისის მრწამსის ცხოვრებაში გატარება, რომლის მეზაირადეთ, 200 წლის წინათ, ნაპოლეონ I-ი გვესახება, რომელიც უთუთ „ევროპის მამად“ შეიძლება იწოდოს, რომლის დროს „ევროპის დედად“ ელენიზმი გვესხება?.. და ამეჟამდ ეითომ ამერიკის შეერთებულ შტატები არ არის ელენიზმისა და „ნაპოლეონიზმის“ ღირსეული შემკვიდრე, რომელიც მთელ მსოფლიოში დემოკრატიის, ადამიანისა და ერის თავისუფლების განხორციელებისაკენ მიიღვებს?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 2005 წლის 26 მაისი

ქართული დემოკრატია ანუ სოციალური დემოკრატია არის დემოკრატია
უმადლეხი ფორმა, რომელიცაა თემის-ანციტოემის-ხინოემის უწყვეტი
პროცესი, რომელშიც ყოველდღიურად იქმნება-ხორციელდება "ნივთიერი
კეთილდღეობა როგორც დედა-მომი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლე-
ბა მიელი ერისა და ჰიოთეული ადამიანისა".



რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების 20 წლისთავი

I.

ნოე ჟორდანიას მოვლენებში – “ჩემი წარსული” (პარიზი, 1953 წელი) – ლაპარაკობს საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების შესახებ და, სხვათა შორის, ამბობს:

ვინაიდან ვერსალის საზავო კონფერენციამ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა დაუკავშირა რუსეთის საკითხს, “გადაწყვიტე ჯერ ჩემი გულში მოსკოვში კაცის გაგზავნა”. როგორც ჟორდანიას წერს, ამგვარი მისიისათვის იგი შეჩერდა გრიგოლ ურგაჭაძემ, რომელიც ლენინს პირადად იცნობდა, და იგი საიღულოდ გაგზავნა მოსკოვში.

II.

დავით საღირაშვილი, რომელიც საქართველოს სახალხო გვარდიის ხელმძღვანელობაში ითვლებოდა, თავის მოვლენებში, რომელიც ხელნაწერად გაგვანჩია, მოგვითხრობს:

საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობის მოსალაპარაკებლად მოსკოვში გაემგზავრა სულ სამი კაცი: გრიგოლ ურგაჭაძე, დავით საღირაშვილი და მირსკი-კობახიძე.

III.

“ერთი დღას, – წერს დავით საღირაშვილი, – გვგრაში გამაცნეს ორი პირი, რომლებიც მოვიდნენ თბილისიდან. ერთს მე კარვად ვიცნობდი. ეს იყო გრიშა ურგაჭაძე, სოციალდემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, ხოლო მეორე მე ენახე პირველად... უცნობი აღმოჩნდა ბოლშევიკი მირსკი, წარმოშობით ქართველი, კობახიძე, პროფესიით ექიმი... ის სტალინის დაჯავლებით გამოგზავნილი იყო საქართველოში დამანგრეველ მამაობისათვის. მოიგინა რვა-ათის ოქროს მანეთი და შექმნა ქსელი “გრიკიებისა”, მაგრამ მალე იქნა დაპატიმრებული... მოხედა რა ციხეში, მირსკი-კობახიძე დარწმუნდა, რომ ამგვარი სახის “მუშაობა” განწირული იყო, და ქართველ ხალხს აბოლუტურად არ სურდა ბოლშევიკური იდეის მიღება. როცა იგი მივიდა ამგვარ რწმუნამდე..., მან გადაწყვიტა მიეწერა წერილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის – ეგენე გეგაჭკორისათვის – გაენთავსუფლებია ის პატიმრობიდან, იმ შეპირებით, რომ ხელს შეუწყობდა მოსკოვში კეთილშემბოლური დამოკიდებულების შექმნას საბჭოთა რუსეთის მთავრობასთან”.

IV.

დავით საღირაშვილი შემდეგ წერს: “დონის როსტოვში მისვლისას, ჩვენ შევხვდით სერგო ორჯონიკიძეს, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით როგორც საქართველოს ეროვნული მთავრობის სასტიკ მტერს.”

ამის შესახებ, თავის მხრივ, გრიშა ურგაჭაძე კი წერს: “დიდი დავიდარაბით ჩავედით როსტოვში. იქ მოთავსებული იყო ჩრდილო-კავკასიის “სამხედრო სარეველუციო საბჭო”, რომელსაც თავმჯდომარეობდა სერგო ორჯონიკიძე. ორჯონიკიძე საქართველოს დაუცინებელი მტერი იყო. ის და მისი ამხანაგები, რომლებიც გაძევებულნი იყვნენ საქართველოდან ექსპრობირაიის ან მოლაპარაკობის ჩადენისათვის, საქართველოს “შენჩევიკურ რესპუბლიკას” უწოდებდნენ”.

“მირსკი-კობახიძემ მოითხოვა, როგორც რუსეთის ბოლშევიკური აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, ლენინთან და სტალინთან პირდაპირი გელეფონის ხაზი, ვინაიდან ის მიუღივნებამი იქნა გაგზავნილი საქართველოში მათ მიერ... მართლაც, სამი საათის შემდეგ მირსკიმ მიიღო შესაძლებლობა პირადად ლენინს პირდაპირი ხაზით დალაპარაკებოდა. ლენინისაკენ მიიღო ბრძანება ორჯონიკიძემ, რომ მას დაუყოვნებლივ გაემეა საქართველოს დელეგაცია... აი, გზივართ საღირაშვილი ითხო ქართველი – ორი ბოლშევიკი: ორჯონიკიძე და კობახიძე, და ორი სოციალდემოკრატი – ურგაჭაძე და მე, და ვიხილავდით რუსეთის ურთიერთობას საქართველოსთან, რომლის დროს ნათელი გახდა ორი სხვადასხვა ორიენტაცია.” – წერს დავით საღირაშვილი და განაგრძობს:

V.

“დაბოლოს ჩავედით მოსკოვში... მირსკი-კობახიძემ მოგვათავსა თავის ბინაში”, – წერს საღირაშვილი. და დაიწყო მოლაპარაკებები რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულების აღადგინის შესახებ, რომლის დროს რუსეთის ჯარებმა უკვე დაიპყრო აზერბაიჯანი და მიუახლოვდა საქართველოს საზღვრებს. რუსეთის ჯარები უკვე იბრძოდნენ საქათველოს სახელმწიფო სამფართან, როცა გრიგოლ ურგაჭაძე – საქართველოს დელეგაციის სახელით, დაემუქრა რუსეთის მოლარარაკების შეწყვეტით. “ლენინმა იცოდა ორჯონიკიძის განზრახვა, იცოდა ისიც, რომ მას მხარს უჭერდა სტალინი.. ლენინმა გელეფონით უბრძანა კარახანს დაუყოვნებლივ გადაეყა ორჯონიკიძისათვის, რომ თუ საქართველოსთან წითელ ჯარებს შეგაკება მოუხდებოდათ, პასუხისმგებელი პირადად ორჯონიკიძე იქნებოდა. დამის ოთხ საათზე მე და კარახანმა პირდაპირი



მაეთულით ვადაყეყით ორჯონიკიძეს ლენინის ეს განკარგულება ბაკოში. ორჯონიკიძემ გვიპასუხა: "არ ვეთხნებები, მაგრამ ვემორჩილები".

VI.

"ჩვენ გეთხრეს, რომ სანამ საბჭოთა რუსეთის საჯარო საქმეთა მინისტრთან წარედგებოდეთ, აუცილებელია ეროვნებათა კომისარ - სტალინთან შეხედრა... შეხვდით სამი ქართველი სტალინს თავის კაბინეტში; იქვე იჯდა კამენევიც, რომელიც მოსული იყო, როგორც ჩანს, პარტიული საქმისათვის.... მირსკი-კობახიძის... დასკვნით, რომ აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ... სტალინი ჩვენ ვეისმენდა ყურადღებით... დასასრულს თქვა: "მე შემებლება მოგვით პოზიტიური პასუხი, თუ ხელშეკრულებაში იქნება ჩართული პუნქტი იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება თავისთავზე არ დაუმუქას, რომელიც არ უნდა იყვეს, - მტრული ძალები თავის ტერიტორიაზე". ჩვენ ამაზე მივეყით დადებითი პასუხი. მაშინ სტალინმა მიმართა იქვე მჯდომ კამენევს და ღიმილით შეეკითხა: "აბა, ამხანაგო კამენე, რა უნდა გვეჩონდეს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობის წინააღმდეგ?" - კამენევი, რომელიც მთელი ხნის განმავლობაში გარუმებული იჯდა, სჩანს, გაკვირებული იყო ჩვენი საუბრით და მხოლოდ ახლა ამოიღო ენა: "რა თქმა უნდა, ამხანაგო სტალინი, რა უნდა გვეჩონდეს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის წინააღმდეგ, დაე, იცხირონ და იმუშაონ, როგორც მათ ეჩვენებად უკეთესად; მხოლოდ, აი, ეს ნოე რამიშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ასე შეაკერა ნუ მოქმედებს ადგილობრივი ბოლშევიკების წინააღმდეგ".

VII.

აი, ასე დაიდვა რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საბავო ხელშეკრულება, რომელიც შესდგება XVI-ი მუხლისაგან, რომლებშიც ნათქვამია:

"მუხლი I.

...რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთის საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი II.

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულია ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი III.

1 სახელმწიფო სამღვარი საქარეულოსა და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ასოუს გასწვრივ ასახის მთამდე; გადადის ხსენებულ ასახისა და აგაპეის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და თფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის სამღვრით შაქთაღლის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ სამღვრით მიდის სომხეთის სამღვრამდე.

- 2 _____
- 3 _____
- 4 _____

მუხლი IV.

1 რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებთან გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელიც გადადის საქართველოს სამღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მამრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე შაქთაღლის და სოხუმის ოლქები". (საქ. ისტორია, თბილისი 1992, გვ.338-339).

VII.

საერთოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ორ ხელშეკრულებას გააჩნია საერთაშორისო უფლებრივი ხასიათი - 1783 წლის 24 ივლისის "გრაქტაგას", რომელიც გაიდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-რესა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II-ეს შორის, და, 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საბავო ხელშეკრულებას, რომელიც დაიდვა 1920 წლის 7 მაისს; თუ შევადგენთ ორ ხელშეკრულებას, რომლებიც იმპერიულმა რუსეთმა დალო, თავის დროზე, საქართველოს სამეფო-სამთავროებთან, მაგალითად, იმერეთის სამოფოსთან თუ სამეგრელოს სამთავროსთან.

VIII.

მაგრამ მაინც არსებითი მნიშვნელობა აქონდა რუსეთ-ქართლ-კახეთის შორის დადებულ გრაქტაგს, რადგან მუფე ერეკლე, 1790 წლის დადებული და "ივერიელ მეფეთა და მთავართა დამტკიცებული" ხელშეკრულებით, სამხედრო კავშირის მეთაური გახდა.

IX.

რაც შეეხება 1783 წლის 24 იელისის "გრაქტაგის" უფლებრივ ხასიათს, მრავალ შეხედულებათა შორის, უფრო დასაბუთებული ჩანს ფრანგი მეცნიერის ლე ფორისა და ივანე ჯავახიშვილის შეხედულებანი: ლე ფორი ამბობს, რომ 1783 წლის გრაქტაგი იყო არა მარტო ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ, არამედ იგი იყო აგრეთვე მეგობრობისა და კავშირის "გრაქტაგი". ივანე ჯავახიშვილი კი 1783 წლის "გრაქტაგს" უწოდებს "მეგობრობის ხელშეკრულებას კავშირისა და მფარველობის შესახებ". (ი.ჯ.: დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18 საუკუნეში, თბილისი, 1919 წელი). ჩვენის აზრით, - განსხვავებით მიხაკო წერეთლის აზრისა ქართლ-კახეთის "ნახევრად სუვერენობის" შესახებ, - 1783 წლის "გრაქტაგის" საფუძველზე, ქართლ-კახეთი გახდა არასუვერენული პროტექტორული სახელმწიფო, რაც შესაბამისაა გერმანელი მეცნიერის ფერდროსის საერთაშორისო იურიდიული ცნებას. (Verdross: Völkerrecht, S.161-163). მკვლევარების აკაკი და პაატა სურგულაძის აზრითაც, 1783 წლის გრაქტაგი იყო "მეგობრული ხელშეკრულება". (საქართველოს ისტორია, თბილისი 1992 წელი, გვ. 6).

X.

რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით რუსეთმა - "ყოველი პირობის გარეშე" - იყინო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა და ფაქტო და ლე იურე, ე.ი. ფაქტიურად და იურიდიულად. ამით კი რუსეთმა - იურიდიული ტერმინი რომ გამოვიყენოთ - "ნოლი და უმნიშვნელი" გახდა მანამდე არსებული ყველა ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შემადგენელ ნაწილებს შორის; და ამით, 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება ერთადერთი საერთაშორისო მნიშვნელობის ხელშეკრულება გახდა მთელ საქართველოსა და რუსეთს შორის.

XI.

მაგრამ, - როგორც მეფის რუსეთმა დაარღვია 1783 წლის 24 იელისის "გრაქტაგი" და 1801 წლის 12 სექტემბერს, რუსეთის იმპერატორის ხელმოწერით, გამოსცა მანიფესტო ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შესახებ, ამჯერადაც, ლენინის მთავრობამ 1921 წლის თებერვალ-მარტში დაარღვია რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება და რუსეთის ჯარები 1921 წლის 25 თებერვალს შემოვიდა თბილისში. თითქმის ორთვიანი მშვენიერ ბრძოლების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რის შედეგადაც, საქართველოს ეროვნული მთავრობა - ნიუ ეორანბასის მეთაურობით, - იძულებული გახდა, 1921 წლის 17 მარტს, საქართველო - დამუხუნებელი კრების დადგენილების თანახმად, - დაეტოვებია, რომ საზღვარგარეთიდან ბრძოლა განეგრძო უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ. საქართველოს ეროვნული მთავრობა დაბინავდა "თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის" ქალაქ - პარიზში - საიდანაც იგი განაგრძობდა ბრძოლას რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. და ამ პერიოდში, გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, მოხდა "სასწაული"!

XII.

